


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი



საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი  
სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა»

**კვლევის შედეგები**

თბილისი, 2016 წელი

ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის/ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით განისაზღვრა ახალი სამაგისტრო პროგრამის შემუშავების აუცილებლობა.

2016 წლის ივლისში მედიცინის ფაკულტეტზე შეიქმნა დარგობრივი აკადემიური კომიტეტები, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის აკადემიური კომიტეტი, ამავე თვეში დამტკიცდა კომიტეტის სამოქმედო გეგმა.

პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრისა და ახალი სამაგისტრო პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები,) მონაწილეობის მიზნით სამოქმედო გეგმის პირველივე ამოცანად განისაზღვრა გამოკითხვის ჩატარება, რომლის შესრულების პასუხისმგებლობა თსუ მედიცინის ფაკულტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის წევრებს დაეკისრათ.

თუნინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი და ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციების კვლევა, რის საფუძველზეც შემუშავდა ათვლის წერტილები, სწავლის შედეგები და კურიკულუმი.

#### **გამოკითხვა მიზნად ისახავდა:**

- საქართველოში კომპეტენციებთან დაკავშირებით ერთობლივი დისკუსიის ინიცირებასა და ამ დისკუსიაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას (აკადემიური პერსონალი, სტუდენტების, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები).

- სწავლის შედეგზე დაფუძნებული კურიკულუმების შემუშავებისათვის განახლებული ინფორმაციის შეგროვებას.

გამოკითხვა ჩატარდა უკვე გამოცდილი მეთოდოლოგიის მიხედვით. თუნინგ-ევროპის მიერ ევროპულდონეზე შემუშავდა ზოგადი/ტრანსფერული (იხ. დანართი 1)

ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი (იხ. დანართი 2) კომპეტენციების კითხვარის შესამუშავებლად გამოყენებული იქნა.

### გამოკითხვის პროცედურა

ყველა დარგობრივ ჯგუფში კვლევამ მოიცვა დაინტერესებული მხარეების ოთხი გუფი: აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, სტუდენტები, დამსაქმებლები.

ჩვენ საშუალება გვქონდა მიგველო ინფორმაცია საზოგადოებაში არსებული მოლოდინების შესახებ. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, აკადემიურმა პერსონალმა, დამსაქმებლებმა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრიდან.

კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი კომპეტენციების კითხვარების ელ. ვერსიები.

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 120 რესპოდენტმა, მათ შორის იყო: 30 აკადემიური პერსონალი, 30 კურსდამთავრებული, 30 სტუდენტი და 30 დამსაქმებელი. შესაბამისად, დამუშავდა 240 კითხვარი.

შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. მოთხოვნილი პასუხის ტიპები თუნინგის მეთოდოლოგიისაგან განსხვავებით კითხვა არ ითხოვდა მხოლოდ ერთი ტიპის პასუხს: - მნიშვნელობა – რესპოდენტის აზრით რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტული კომპეტენცია პროფესიით მუშაობისათვის.

პასუხისათვის გამოყენებული იყო შემდეგი შკალა:

- 1 = არ არის მნიშვნელოვანი
- 2 = ნაკლებად მნიშვნელოვანია
- 3 = საკმაოდ მნიშვნელოვანია
- 4 = ძალიან მნიშვნელოვანია

გარდა აღნიშნულისა, ასევე მოითხოვებოდა მნიშვნელობის მიხედვით ხუთი კომპეტენციის რანჟირება.

## **ზოგადი კომპეტენციების კვლევის შედეგები**

ზოგადი კომპეტენციების ევროპული კითხვარი მოიცავს 31 კომპეტენციას (დანართი 1) კომპეტენციის მნიშვნელობის მიხედვით სიის სათავეში არსებული 3 კომპეტენციიდან ყველა დარგობრივ ჯგუფში შემდეგი კომპეტენცია აღმოჩნდა: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

როსპენდენტთა ოთხივე ჯგუფის მიერ შერჩეული ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები:

- 1) N2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 2) N4 დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება;
- 3) N14 პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი;

საინტერესოა, რომ N2 და N4 კომპეტენცია მნიშვნელოვანია ოთხივე რესპონდენტთა ჯგუფისათვის: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ N2 კომპეტენცია ყველაზე მნიშვნელოვანად დაასახელა რესპონდენტთა ორმა ჯგუფმა: სტუდენტები და აკადემიური პერსონალი.

### **სტუდენტები:**

- 1) N2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 2) N4 დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება;
- 3) N14 პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი.

### **კურსდამთავრებულები:**

- 1) N1 აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- 2) N2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 3) N4 დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება.


### **აკადემიური პერსონალი:**

- 1) N2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 2) N4 დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება;
- 3) N8 კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი.

### **საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი:**


- 1) N1 აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- 2) N2 ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 3) N4 დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება.

- 1) პირველ კითხვაზე, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ 64,3%-მა მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი.




- 2) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (89,3%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი.

## ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი




- 3) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტი) უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (73,6%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი, 26,4%-მა კი საკმაოდ მნიშვნელოვანი.

## დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტი) უნარი




4) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება პროფესიული წარმატებისათვის გამოკითხულთა უმრავლესობამ (71,9%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი, 33%-მა კი - საკმაოდ მნიშვნელოვანი.




5) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი პროფესიული წარმატებისათვის პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 78.5%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 18.2%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 3.3%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

### მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი



6) კითხვაზე, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (54%-მა) მიუთითა საკმაოდ მნიშვნელოვანი, 44.3%-მა კი ძალიან მნიშვნელოვანი.


### მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი




7) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 45.1%;




საკმაოდ მნიშვნელოვანი - 54.1%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 0.8%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




8) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 43.4%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 54.1%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 2.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




9) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (76%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი .



10) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი პროფესიული წარმატებისათვის , გამოკითხულთა უმრავლესობამ - 63.1%-მა მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი.




11) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი პროფესიული წარმატებისათვის პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა : ძალიან მნიშვნელოვანი - 53.3%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 43.4%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 2.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 0.8%.




12) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 44.6%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 54.5%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 0.8%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

## უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი




13) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა) პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (65%-მა) მიუთითა საკმაოდ მნიშვნელოვანი.


## ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)



14) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემის იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (58%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი.




15) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (72%-მა) მიუთითა ძალიან მნიშვნელოვანი.




16) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ჯგუფში მუშაობის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად

გადაანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 40%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 50%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 10%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




17) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების/დიალოგის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (63.9%-მა) საკმაოდ მნიშვნელოვანი მიუთითა.




18) დასმულ კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნისკენ წარმართვის უნარი პროფესიული წარმატების

მიღწევისათვის, გამოკითხულთა უმრავლესობამ (72%-მა) საკმაოდ მნიშვნელოვანი მიუთითა.




19) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 22.1%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 63.9%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 11.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 2.5%.

## არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი




20) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 27.9%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 63.9%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 8.2%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

## განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი






21) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 30.3%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 63.4%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 3.3%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




22) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებლად მუშაობის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 54.1%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 41.8%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 4.1%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

## დამოუკიდებლად მუშაობის უნარი




23) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 43.4%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 54.1%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 2.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.


## პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი




24) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 53.7%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 42.1%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 4.1%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



25) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 23%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 67.2%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 9.8%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




26) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 54.9%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 43.4%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 1.6%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




27) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი პროფესიული წარმატებისათვის,

რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 42.6%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 56.6%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 0.8%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




28) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია დაკისრებული ამოცანებისა და ნაკისრი ვალდებულებების შემართებით განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 61.2%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 35.5%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 3.3%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.


დაკისრებული ამოცანებისა და ნაკისრი  
ვალდებულებების შემართებით  
განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის  
უნარი



29) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის ვალდებულებების შეგნება პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 49.6%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 47.9%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 2.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




30) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანი - 45.1%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 52.5%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 2.5%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



31) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების გაცნობიერების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ძალიან მნიშვნელოვანი - 33.6%; საკმაოდ მნიშვნელოვანი - 60.7%; ნაკლებად მნიშვნელოვანი - 5.7%; არ არის მნიშვნელოვანი - 0%.





## **დარგობრივი კომპეტენციების კვლევა**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი კომპეტენციების რაოდენობა 31-ს შეადგენს, ამ შემთხვევაშიც ჩვენ რანჟირება გაუკეთეთ სამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვან კომპეტენციას რესპოდენტთა ოთხივე ჯგუფისათვის.

დარგობრივი კომპეტენციების ევროპული კითხვარი მოიცავს 31 კომპეტენციას (დანართი 2). კომპეტენციის მნიშვნელობის მიხედვით სიის სათავეში არსებული 3 კომპეტენციიდან ყველა დარგობრივ ჯგუფში შემდეგი კომპეტენცია აღმოჩნდა: **N1 საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი**. როსპენდენტთა ოთხივე ჯგუფის მიერ შერჩეული ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი კომპეტენციები:

- 1) N1** საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი;
- 2) N4** საბაზო სტატისტიკურ იცნებების გამოყენების უნარი;
- 3) N16** ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური და სწავლითი შეზღუდვებით და სხვა.

საინტერესოა, რომ N1 და N4 კომპეტენცია მნიშვნელოვანია რესპოდენტთა 2 ჯგუფისათვის: სტუდენტები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები.

### **სტუდენტები:**

- 1) N1** საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი;
- 2) N4** საბაზო სტატისტიკური ცნებების გამოყენების უნარი;
- 3) N6** ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური და სწავლითი შეზღუდვებით და სხვა.

### **კურსდამთავრებულები:**

- 1) N12** ლიტერატურული ძიების და შეფასების უნარი;

**2)N29** საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიაში, ძირითადი ეთიკური პრინციპების დანერგვის დემონსტრირების უნარი (მაგალითად, როგორცაა არადისკრიმინაციული მიდგომა მიზნობრივ მოსახლეობასთან და სხვა);

**3)N30** ეთიკური პრინციპების შესაბამისად პროფესიული აქტივობების დროს მოპოვებულ ნებისმიერი ნფორმაციაში შემავალი მონაცემების დაცვისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის უნარი .

#### **აკადემიური პერსონალი:**

**1)N6** ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური დასწავლითი შეზღუდვებით და სხვა;

**2)N12**ლიტერატურული ძიების და შეფასების უნარი;

**3)N16** ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ.ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური დასწავლითი შეზღუდვებით და სხვა.


#### **საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტი:**

**1)N1**საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი;


**2)N3**საბაზო ეპიდემიოლოგიური ცნებების გამოყენების უნარი;

**3)N4** საბაზო სტატისტიკური ცნებების გამოყენების უნარი.


1) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 58.1%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 33.1%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -8.9%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



2) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მარტივი სტატისტიკური პარამეტრების შეფასების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია -51.6%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 41.9%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -5.6 %, არ არის მნიშვნელოვანი - 0.8%.




3) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საბაზო ეპიდემიოლოგიური ცნებების გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 54.5%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 40.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 4.9%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




4) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საბაზო სტატისტიკური ცნებების გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად

გადაანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 48.8%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 47.2%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -4.1%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




5) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პროტოკოლის შემუშავებისა და დანერგვის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადაანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 28.2%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 66.1%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -5.6%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




6) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ავანმრთელობის საჭიროებების შეფასების, სისტემის შემუშავების, შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების


მომზადების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 56.6%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 42.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -1.6%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



7) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სერვისების ინტერვენციის მონიტორინგის სისტემის შემუშავების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 35.5%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 61.3%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -2.4 არ არის მნიშვნელოვანი - 0.8%.




8) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხის შეფასების შემუშავებისა და გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 30.3%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 66.4%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -2.5%, არ არის მნიშვნელოვანი - 0.8%.




9) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური პროგრამების გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 39%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 58.5%, ნაკლებად

მნიშვნელოვანია 2.5%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




10) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვლევის ჩატარებისას ხარისხობრივი მეთოდების გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 37.4%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 60.2%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 2.4%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




11) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფუნქციების გამოყენების




უნარიპროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 38.7%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 60.5%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -0.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



12) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ლიტერატურული ძიების და შეფასების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 67.7%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 28.2%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -4%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




13) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური გარემოსა და ევროპის მოსახლეობის ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით ეპიდზედამხედველობის სისტემის ინფორმაციის გამოყენებისა და ეპიდემიოლოგიური დოკუმენტაციის წარმოების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 34.7%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 58.9%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 6.5%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




14) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ევროპული მოსახლეობისა და მოსახლეობის ჯგუფების ჯანმრთელობის სტატუსის განვითარების პროგნოზირების მიზნით ეპიდზედამხედველობის სისტემის ინფორმაციის გამოყენების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 44%, საკმაოდ მნიშვნელოვანია -


59.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -4.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




15) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური ცვლილებების ტრენდების იდენტიფიცირების, მოძიებისა და ანალიზის უნარი დემოგრაფიულ, სოციალური სტრუქტურის, ეკონომიკის და ტექნოლოგიურ განვითარებაზე აქცენტით პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 33.1%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 57.3%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -9.7%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




16) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური და სწავლითი შეზღუდვებით და სხვა პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 66.9%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 32.2%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 0.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



17) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია გარემოს ფიზიკურ, რადიოლოგიურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ კომპონენტებთან ასოცირებული რისკის შეფასების უნარი მომავალში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეფექტის ჩათვლით პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 41.9%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 54%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 4%, არ არის




18) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ეპიდზედამხედველობის სისტემის ინფორმაციაზე დაყრდნობით ევროპის მოსახლეობისა და პოპულაციური ჯგუფების ჯანმრთელობასა და ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ გარემოს ფაქტორებს შორის არსებულ დამოკიდებულებებზე დოკუმენტაციის წარმოების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 27.4%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 63.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 6.5%, არ არის




19) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების გამოყოფისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოსთან დაკავშირებულ სტრესულ გარემოში, სარისკო გარემოში დასაქმებული ადამიანები და მათი ოჯახები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სტიქიური უბედურების რისკის მქონე გარემოში პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 58.5%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 40.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 0.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

**ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების გამოყოფისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ...**




20) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტულ მეთოდებისა და გაიდლაინების გამოყენებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და აღწერის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 52.4%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 46.8%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 0.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტულ მეთოდებისა და გაიდლაინების გამოყენებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და აღწერის...**




21) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია შესრულებული პროცედურის, ჩარევის, სტრატეგიისა ან პოლიტიკის ეკონომიკურ ჭრილში შეფასების უნარი

პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 35%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 63.4%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -1.6%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




22) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პროგრამის, ინსტიტუციის ან პროცედურის SWOT ანალიზის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 37.1%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 52.4%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -10.5%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.






23) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოწვევების შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიის განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალების იდენტიფიცირების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 50.8%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 45.9%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -3.3%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




24) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა დონის მიხედვით, მათ შორის, ადგილობრივიდან გლობალურამდე, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობითი მიმართულებით გამოწვევების იდენტიფიცირების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 39.5%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 54.8%, ნაკლებად


მნიშვნელოვანია -4.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0.8%.



25) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტური მესიჯების (რისკის ანალიზის ჩათვლით) გადაცემის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 52.4%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 41.9%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 5.6%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




26) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებისა და აღწერის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 46.8%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 50%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -3.2%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




27) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 30.6%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 66.9%, ნაკლებად


მნიშვნელოვანია -2.4%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




28) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონკრეტული ინტერვენციების, სტრატეგიებისა და პოლიტიკის ეთიკური ასპექტების იდენტიფიცირების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 55.6%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 43.5%, ნაკლებად მნიშვნელოვანია - 0.8%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.




29) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიაში, ძირითადი ეთიკური პრინციპების დანერგვის დემონსტრირების უნარი (მაგალითად, როგორცაა არადისკრიმინაციული მიდგომა მიზნობრივ მოსახლეობასთან და სხვა პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 58.9%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 38.7%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -2.4%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



30) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ეთიკური პრინციპების შესაბამისად პროფესიული აქტივობების დროს მოპოვებულ ნებისმიერ ინფორმაციაში შემავალი მონაცემების დაცვისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 75.8%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 23.4%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -0.8%, არ არის



31) კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტულ ქვეყანაში დადგენილი კვლევის მართვის კონტექსტში ეთიკის კომისიისთვის განაცხადის მომზადების უნარი პროფესიული წარმატებისათვის, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან მნიშვნელოვანია - 50%, საკმაოდ მნიშვნელოვანია - 47.6%, ნაკლებად მნიშვნელოვანია -2.4%, არ არის მნიშვნელოვანი - 0%.



## დანართი 1.

### ზოგადი კომპეტენციები

1. აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
3. დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტის) უნარი
4. დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება
5. მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი
6. მეორე (უცხოურ) ენაზე კომუნიკაციის უნარი
7. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
8. კვლევის სათანადო დონეზე წარმართვის უნარი
9. სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
10. სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი
11. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი
12. უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
13. ახალი იდეების გენერირების უნარი (შემოქმედებითობა)
14. პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი
15. დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უნარი
16. ჯგუფში მუშაობის უნარი
17. ადამიანებს შორის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების/დიალოგის უნარი
18. ადამიანების მოტივირებისა და საერთო მიზნებისკენ წარმართვის უნარი
19. არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი
20. განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

21. საერთაშორისო კონტექსტში მუშაობის უნარი
22. დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
23. პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარი
24. უსაფრთხოების დაცვის ვალდებულების შეგნება
25. საქმიანი წამოწყებისა და ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი
26. ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე ქცევის უნარი
27. შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და შენარჩუნების უნარი
28. დაკისრებული ამოცანებისა და ნაკისრი ვალდებულებების შემართებით განხორციელებისა და ბოლომდე მიყვანის უნარი
29. გარემოს დაცვის ვალდებულების შეგნება
30. სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედებს უნარი
31. თანაბარი შესაძლებლობებისა და გენდერული საკითხების გაცნობიერების უნარი.



## დანართი 2.

### დარგობრივი კომპეტენციები:

- 1) საბაზო დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური პარამეტრების შეფასების უნარი.
- 2) მარტივი სტატისტიკური პარამეტრების შეფასების უნარი.
- 3) საბაზო ეპიდემიოლოგიური ცნებების გამოყენების უნარი.
- 4) საბაზო სტატისტიკური ცნებების გამოყენების უნარი.
- 5) პროტოკოლის შემუშავებისა და დანერგვის უნარი.
- 6) ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასების, სისტემის შემუშავების, შეფასებისა და შესაბამისი დასკვნების მომზადების უნარი.
- 7) ჯანდაცვის სერვისების ინტერვენციის მონიტორინგის სისტემის შემუშავების უნარი.
- 8) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხის შეფასების შემუშავებისა და გამოყენების უნარი.
- 9) სტატისტიკური ანალიზისათვის საჭირო სტატისტიკური პროგრამების გამოყენების უნარი.
- 10) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში კვლევის ჩატარებისას ხარისხობრივი მეთოდების გამოყენების უნარი.
- 11) ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველაზე ხშირად გამოყენებადი ფუნქციების გამოყენების უნარი.
- 12) ლიტერატურული ძიების და შეფასების უნარი.

### მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური და ეკონომიკური დეტერმინანტები

- 13) სოციალურ-ეკონომიკური გარემოსა და ევროპის მოსახლეობის ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით ეპიდემიოლოგიური სისტემის ინფორმაციის გამოყენებისა და ეპიდემიოლოგიური დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

14) ევროპული მოსახლეობისა და მოსახლეობის ჯგუფების ჯანმრთელობის სტატუსის განვითარების პროგნოზირების მიზნით ეპიდზედამხედველობის სისტემის ინფორმაციის გამოყენების უნარი.

15) სოციალური ცვლილებების ტრენდების იდენტიფიცირების, მოძიებისა და ანალიზის უნარი დემოგრაფიულ, სოციალური სტრუქტურის, ეკონომიკის და ტექნოლოგიურ განვითარებაზე აქცენტით.

16) ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ხანდაზმულები, მოზარდები, როგორც დასაქმებული, ასევე დაუსაქმებელი, ემიგრანტები, ადამიანები ფიზიკური, მენტალური და სწავლითი შეზღუდვებით და სხვა.

17) გარემოს ფიზიკურ, რადიოლოგიურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ კომპონენტებთან ასოცირებული რისკის შეფასების უნარი მომავალში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ეფექტის ჩათვლით.

18) ეპიდზედამხედველობის სისტემის ინფორმაციაზე დაყრდნობით ევროპის მოსახლეობისა და პოპულაციური ჯგუფების ჯანმრთელობასა და ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ გარემოს ფაქტორებს შორის არსებულ დამოკიდებულებებზე დოკუმენტაციის წარმოების უნარი.

19) ჯანმრთელობის მაღალი რისკის მქონე პოპულაციის ჯგუფების გამოყოფისა და მათი სამედიცინო საჭიროებების შეფასების უნარი, მაგ. ბავშვები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ გარემოსთან დაკავშირებულ სტრესულ გარემოში, სარისკო გარემოში დასაქმებული ადამიანები და მათი ოჯახები, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ სტიქიური უბედურების რისკის მქონე გარემოში.

20) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტულ მეთოდებისა და გაიდლაინების გამოყენებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და აღწერის უნარი.

21) შესრულებული პროცედურის, ჩარევის, სტრატეგიისა ან პოლიტიკის ეკონომიკურ ჭრილში შეფასების უნარი.

22) პროგრამის , ინსტიტუციის ან პროცედურის SWOT ანალიზის უნარი .

23) მოსახლეობის ჯანმრთელობის გამოწვევების შესაბამისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიის განვითარებისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და მასალების იდენტიფიცირების უნარი.

**ჯანმრთელობის ხელშეწყობა: ჯანმრთელობის შესახებ განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და დაავადებათა პრევენცია**

24) სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა დონის მიხედვით, მათ შორის, ადგილობრივიდან გლობალურამდე, მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობითი მიმართულებით გამოწვევების იდენტიფიცირების უნარი

25) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეფექტური მესიჯების (რისკის ანალიზის ჩათვლით) გადაცემის უნარი.

26) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებისა და აღწერის უნარი.

27) პოლიტიკის შემუშავების უნარი.

## **ეთიკა**

28) საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონკრეტული ინტერვენციების, სტრატეგიებისა და პოლიტიკის ეთიკური ასპექტების იდენტიფიცირების უნარი.

29) საზოგადოებრივი ჯანდაცვის სტრატეგიაში, ძირითადი ეთიკური პრინციპების დანერგვის დემონსტრირების უნარი (მაგალითად, როგორცაა არადისკრიმინაციული მიდგომა მიზნობრივ მოსახლეობასთან და სხვა

30) ეთიკური პრინციპების შესაბამისად პროფესიული აქტივობების დროს მოპოვებულ ნებისმიერ ინფორმაციაში შემავალი მონაცემების დაცვისა და კონფიდენციალობის უზრუნველყოფის უნარი.

31) კონკრეტულ ქვეყანაში დადგენილი კვლევის მართვის კონტექსტში ეთიკის კომისიისთვის განაცხადის მომზადების უნარი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- Standards of World Federation of Medical Education/Standards for Master's Degrees in Medical and Health Professions Education, 2016.
- European Core Competencies for MPH Education (ECCMPHE). ASPHER, 2011.
- European Core Competencies for Public Health Professionals, ASPHER, 2011.
- Tuning Guidelines of Competence Development in the Study Field of Public Health, 2012.